ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები

გამოცემა მესამე - 2020-2021 წლების ფინანსური ანგარიშგებები

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (შემდგომში - სამსახური) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ “საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით დაიწყო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების განხილვის პროცესი, ფასს სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დასადგენად. აღნიშნული პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშგების განხილვის პრიორიტეტების სახელმძღვანელოს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია წარდგენილი ანგარიშგებების განსახილველად შერჩევის კრიტერიუმების, ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობების გამოვლენისა და მათი გასწორების შესახებ.

დოკუმენტის მიზანი და პერიოდულობა

აღნიშნული დოკუმენტი გახლავთ რიგით მესამე დოკუმენტი, სადაც შეჯამებულია სამსახურის მიერ 2022 წელს შერჩეული 2020-2021 წლების პერიოდში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები. სამსახურის ხედვით, აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროება საწარმოებს საშუალებას მისცემს გაეცნონ აღმოჩენილ შეუსაბამობებს, რომელთა ანალიზი და გათვალისწინება სუბიექტებს ხელს შეუწყობს მოამზადონ და წარმოადგინონ უფრო მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგება.

შერჩეული სიმრავლე და შეზღუდვები

სიღრმისეული განხილვისთვის 2020-2021 წლების საანგარიშგებო პერიოდზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს სტანდარტებით) მომზადებული წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებებიდან სამსახურმა შეარჩია:

- სდპ კატეგორია - სდპ კატეგორიის საწარმოთა 3%,
- I კატეგორია - I კატეგორიის საწარმოთა 7%,
- II კატეგორია - II კატეგორიის საწარმოთა 2%.

დოკუმენტში ასახულია განხილვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები, რომელიც გამოვლენილია დისტანციური შემოწმების შედეგად, რაც ითვალისწინებს ანგარიშგების პორტალზე გასაჯაროებულ წლიურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის განხილვას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

გამოვლენილი შეუსაბამობების შეჯამება:



გრაფიკი ასახავს ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობის სიხშირეს 2022 წელს განხილული ფინანსური ანგარიშგებების ერთობლიობაში

ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

განმარტებითი შენიშვნა
განხილული ანგარიშგებების 45%-ში არ იყო გამჟღავნებული არსებითი მუხლების შესახებ განმარტებითი შენიშვნები, ხოლო რიგ შემთხვევებში არასრულად იყო წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები, მათ შორის არ იყო მოცემული მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები.

შესადარისი ინფორმაცია
განხილული ანგარიშგებების 17%-ში განმარტებით შენიშვნებში არ იყო გამჟღავნებული გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების გამიჯვნა
განხილული ანგარიშგებების 14%-ში არასწორად იყო გამიჯნული გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები (მაგ: გრძელვადიანი სესხებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა).

დამატებითი შესადარისი ინფორმაცია
განხილული ანგარიშგებების 3%-ში არ იყო გამჟღავნებული განმარტებითი შენიშვნა დამატებით შესადარის ინფორმაციაზე.

ბასს 1 სტანდარტის თანახმად, საწარმოს შეუძლია, ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გარდა, წარმოადგინოს დამატებითი შესადარისი ინფორმაცია. თუ საწარმო წარმოადგენს ამგვარ დამატებით შესადარის ინფორმაციასაც, მან ასევე უნდა წარმოადგინოს ამ დამატებითი ანგარიშგებების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებიც.

ნულოვანი მუხლები, როგორც მიმდინარე, ასევე შესადარის პერიოდებში
განხილული ანგარიშგებების 31%-ში, ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებში და განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი იყო მუხლები ნულოვანი ნაშთით, როგორც მიმდინარე, ასევე შესადარის საანგარიშგებო პერიოდებში.

ტექნიკური ხარვეზები
განხილული ანგარიშგებების 46%-ში შინაარსობრივ საკითხებთან ერთად გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზებიც, როგორიცაა:

- ძირითადი ფინანსური ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნების შეუსაბამო ნუმერაცია;
- განმარტებით შენიშვნაში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს შორის არსებული დისბალანსი;
- ისეთი ინფორმაციის გადმოტანა წინა წლის პერიოდის ანგარიშგებებიდან, რომელიც რელევანტური აღარ იყო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში;
- ძირითადი ფინანსურ ანგარიშგებებში და განმარტებით შენიშვნებში მუხლების არასწორი დასახელება;

ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნა
განხილული ანგარიშგებების 29%-ში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშლობილი რისკების მართვა
განხილული ანგარიშგებების 23%-ში არ იყო გამჟღავნებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშლობილი რისკების მართვის შესახებ.

სამართლიანი ღირებულება
განხილული ანგარიშგებების 6%-ში ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კატეგორიისთვის არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია მათი სამართლიანი ღირებულების შესახებ.

ზარალის რეზერვის საწყისი ნაშთის შეჯერება საბოლოო ნაშთთან
განხილული ანგარიშგებების 6%-ში არ იყო წარმოდგენილი ზარალის რეზერვის საწყისი ნაშთის შეჯერება საბოლოო ნაშთთან, სადაც ცალ-ცალკე იქნებოდა ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება
განხილული ანგარიშგებების 29%-ში არ იყო აღიარებული ზარალის რეზერვი, ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში.

ამორტიზებადი ღირებულების დათვლის მეთოდი
განხილული ანგარიშგებების 14%-ში არ იყო გათვალისწინებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი), სესხის ამორტიზირებადი ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დათვლისას.

ფასს 9 სტანდარტის გამოყენება
განხილული ანგარიშგებების 6%-ში არ იყო გამოყენებული ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარება
განხილული ანგარიშგებების 3%-ში გაცემული სესხები არ იყო აღიარებული სამართლიანი ღირებულებით.

ბასს 24 - დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნა
განხილული ანგარიშგებების 20%-ში არ არის გამჟღავნებული განმარტებითი შენიშვნა დაკავშირებულ მხარეთა შესახებ.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე
განხილული ანგარიშგებების 3%-ში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის შესახებ.

ბასს 16 - ძირითადი საშუალებები

ცვეთის ხარჯი
განხილული ანგარიშგებების 9%-ში ძირითადი საშუალებების განმარტებით შენიშვნაში ცვეთა არ ერიცხებოდა ძირითად საშუალებებს ან ცვეთის ხარჯი არასწორად იყო დაანგარიშებული. ასევე, ფინანსური ანგარიშგებების 3%-ში ცვეთა არ ერიცხებოდა ისეთ ძირითად საშუალებებს, რომელიც დროებით ექსპლუატაციიდან იყო ამოღებული.

ინფორმაციის გამჟღავნება ძირითადი საშუალებების თითოეული ჯგუფისთვის
განხილული ანგარიშგებების 6%-ში ძირითადი საშუალებების თითოეული კლასისთვის არ იყო გამჟღავნებული ბასს 16 სტანდარტით მოთხოვნილი განმარტებითი ინფორმაცია.

ბასს 2 - მარაგები

განმარტებითი შენიშვნები
განხილული ანგარიშგების 11%-ში განმარტებით შენიშვნაში არ იყო გამჟღავნებული იმ მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებული იყო მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად.

სააღრიცხვო პოლიტიკა
განხილული ანგარიშგების 9%-ში არ იყო გამჟღავნებული საკმარისი ინფორმაცია მარაგების შესაფასებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

ახალი სტანდარტების შემოღების შესაძლო გავლენის შეფასება

განხილული ანგარიშგებების 17%-ში არ იყო წარმოდგენილი ახალი სტანდარტების გავლენის შეფასება ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც გამოცემულია, თუმცა მისი ძალაში შესვლის თარიღი არ დამდგარა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

განხილული ანგარიშგებების 3%-ში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის შესახებ.

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მუხლების არასწორი წარდგენა საქმიანობის სახეების მიხედვით

განხილული ანარიშგების 20%-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მუხლები საქმიანობის სახეების მიხედვით შეცდომით არის წარმოდგენილი.

მაგალითად: არაპირდაპირი მეთოდით შედგენილი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში სხვა პირებზე გაცემული სესხები და მათ დასაფარად მიღებული ფულადი ნაკადები წარმოდგენილი იყო საფინანსო საქმიანობის ნაწილში, მაშინ როცა ბასს 7 სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს საინვესტიციო საქმიანობის ნაწილში. ასევე, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე წარმოდგენილი იყო იმგვარი მუხლები, რომელთა ურთიერთგადაფარვა ეწინააღმდეგება ბასს 7 სტანდარტის მოთხოვნებს.

ბასს 32 - ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა

ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების გამიჯვნა

განხილული ანარიშგების 11%-ში ფინანსური ინსტურმენტების რისკების მიმოხილვისას, ფინანსურ აქტივებში და ვალდებულებებში წარმოდგენილი იყო არაფინანსური ინსტურმენტები. მაგალითად: მიღებული და გაცემული ავანსები.